საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2100/01
04/03/2022

2100-01-2-202203041733

შპს „რომპეტროლ საქართველოს“
მის: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №2144 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიის ღობესა და ლოჭინის ხევს შორის არსებული ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანოასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, 200 მეტრის დაშორებით, ფიქსირდება ნატალია ასლამაზიშვილის საკუთრებაში არსებული ობიექტი (ს/კ: 01.19.26.010.008). სკრინინგის განცხადებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული ობიექტის ფუნქციური დანიშნულების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, უახლოესი მოსახლე ობიექტიდან დაშორებულია 530 მეტრით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას სიტუაციური რუკაზე დატანით;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან 120 მეტრის დაშორებით მდებარეობს შპს „ჯორჯიან ეარ სერვისის“ საკუთრებაში არსებული ობიექტი (ს/კ; 01.19.30.001.021). სკრინინგის განცხადებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ობიექტის ფუნქციური დანიშნულების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ფიქსირდება მსგავსი პროფილის ობიექტ(ებ)ი, სკრინინგის განცხადებაში აღწერილი და შეფასებული უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ნავთობბაზის წლიური რეალიზაციის გაზრდა: ბენზინი - 122,6 მლნ. ლიტრიდან 200 მლნ ლიტრამდე, დიზელი - 80 მლნ. ლიტრიდან 130 მლნ. ლიტრამდე) გათვალისწინებით ატმოსფერულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის დაგეგმილი იყო 10 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო ორმოს მოწყობა, ხოლო წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე

მოწყობილია 50 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო ორმო. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული FSN-3 მოდელის, 3 ლ/წმ წარმადობის ფილტრ/სეპარატორის ნაცვლად, ჩამდინარე წყლის გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მოეწყო FSN-6 მოდელის, 6 ლ/წმ წარმადობის ფილტრ/სეპარატორი. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ფილტრ/სეპარატორის საპასპორტო მონაცემები, ეფექტურობა (ჩაშვებულ წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებები და მათი კონცენტრაცია) და სევე, წყალჩაშვების GPS კოორდინატების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე